159
ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 246
ნოემბრის 16, შაბათი 1902 წ.
1877

ივერია

№ 246
ნოემბრის 16, შაბათი 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1903 წელს

გაზეთი „ივერია“ გამოვა იმავე სივრცით და პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა,

ფასი გაზეთისა მთელის წლით ისევ თუმანია. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

☛ ვინც ახლავე დაიბარებს გაზეთს მერმისისთვის და ერთს თუმანს წარმოადგენს, ამა ნოემბრისა და დეკემბრის ნომრები მუქთად გაეგზავნება. ☚

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).

ქუთაისში:—ბეჟანეიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში, აგრეთვე სოსიკო მერკვილაძესთან.

ბათუმში: ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში, და ჰელიძის წიგნის მაღაზიაში.

ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).

საგურამოში. პეტრე მაჭავარიანთან.

შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.

განჯაში:—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).

გორში:— ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—10 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—5 კაპ. მთელი გვერდი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

პირველ ნოემბრიდგან წლის დამლევამდე
„ივერია“
ჰღირს 2 მანეთად და 75 კაპეიკად

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

სამკერვალო
ქალთა ტანისამოსისა.

ვღებულობთ ქალთა ტანისამოსს შესაკერად

☛ **ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად.**

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა-და-სხვა ხელთ-საქმისას.

აქვე მიიღება შესაკერად კაბა-ანაფორა და სხვა სასულიერო სამოსელი.

ტფილისი. წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ჭრა-კერვისა და ხელთ-საქმის სახელოსნოს გამგე **ანა მერკვილაძისა.**

ს.-პეტერბურგის კომპანია
„ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ღმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

დაარსებულია 1847 წელს.

ძირითადი თანხა	**1.650.000 მან.**
სათადარიგო თანხა	**2.664,808 მან.**

I. გაგზავნა ტვირთისა.

300 საგენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრესს ადგილას, კავკასიაში, შუა აზიაში, სიბირში და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრესს ქალაქებში საზღვარ-გარედ.

კომპანია კისრულობს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიღებას და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

კისრულობს ჩაბარებას ბარგი გამგზავნთა მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით გამგზავნის ხარჯზედ, ფულის გაგზავნა დეპეშით საქონლის გაგზავნისათვის იქ, სადა ბარგი და საქონელი უნდა იქმნას ჩაბარებული და სხ.).

შენახვა საქონლისა შეღავათიანის პირობით იმ დრომდე, ვიდრე პატრონს ჩაჰბარდებოდეს და დაზღვევა მისი საწყობში, რისთვისაც ბევრგან გვაქვს დიდნი საკუთარნი საწყობანი, განსაკუთრებით საქონლის შესანახად მოწყობილნი.

II. ნავოსნობა.

კომპანიას აქვს საკუთარი გემები, ზღვებსა და მდინარეში სავლელი ნავები (ბარჟები) პასაჟირებისა და საქონლისათვის, აგრეთვე საბუქსირო გემები (სულ 70 ნავი და გემი). ავდიანი მიმოსვლა პასაჟირთა და ზიდვა საქონლისა მდ. ვოლგას ყოველ ბაქან შორის, რიბინსკიდგან ასტრახანამდე და კასპიის ზღვის ყოველ პორტს შორის, ასტრახანიდგან სპარსეთის საზღვრებამდე.

უზარმაზარნი საწყობნი საქონლისა ნიჟნი-ნოვგოროდში (სიბირის ბაქანთან, ასტრახანსა, ბაქოსა და კრასნოვოცკში).

III. დაზღვევის ოპერაციები.

ა) **დაზღვევა** საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და არით.

ბ) **დაზღვევა** ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) **დაზღვევა** ყოველ-გვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) **დაზღვევა** განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის საგენტონი ყველგან. სატრანსპორტო საგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის საგენტონი.

გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის **„ნადეჟდას“**-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვის პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის საგენტო სასახლის ქუჩაზეა, ქართველთა თავად-აზნაურობის სახლში. ტელეფონი № 108.
(120—6.—54)

საჭიროა

პასუხის-მგებელი **პრიკაზჩიკები** თავიანთ მოსამსახურე ხელ-ქვეითებით ამიერ-კავკასიის რკინისგზის მოხელეთა მომხმარებელ საზოგადოების მაღაზიასა და მატარებლების დუქნებში. გირაოდ უნდა იქმნას შემოტანილი 400-დან 600 მანეთამდე, ჯამაგირებია გადაწყვეტილი 960 მანეთიდან 1320 მანეთამდე წელიწადში. საზოგადოების გამგეობა იმყოფება ტფილისში, მიხეილის პროსპექტი, სახლი ალელოვისა, № 162.
(4—3).

ევროპიელი ქალი

ინგლისურისა, ფრანგულისა და გერმანულის

ენის მცოდნე, იძლევა

გაკვეთილებს

მსურველთ იკითხონ ქ-ნი ოპპე, ბარონის ქუჩა, ექიმ ღამბაშიძის ბინაზედ. (წ.)

№ 15. ტელეფონი 617

ქართული თეატრი

კვირას 17 ნოემბერს, 1902 წ.
თავ. ალ. ივ. სუმბათაშვილის პატივსაცემლად
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის
მიერ წარმოდგენილ იქნება
დაკლებულის ფასებით
I

ბორკილი

დრამა 4 მოქ. თავ. ალ. ივ. სუმბათაშვილისა, თარგ. ა. ახნაზაროვისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ნ. რიონელი, ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე, კ. მესხი, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი.

ადგილების ფასი: ლოჟები 4 მ.-დან 8 მ. დე, პარტერი 50 კ.-დან 1 მ. 50 კ.-მდე, ამფითეატრი 60 კ.-დან 1 მ.-მდე, გალერეია 20 კ.-დან 35 კ.-მდე

შეგირდებისათვის ადგილები 40 კაპ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად „სხივს მოკლებულნი“ „კოველლეის მკვლელობა“ (კ. მესხის ბენეფისი), „გრიგალი“.

თეატრის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს მაყურებლებს, პიესის მოქმედების დროს ტაშს ნუ დაუკრავენ და ნუ გამოიწვევენ ხოლმე მსახიობთ, რადგან უდროვო-დროს მოქმედების შეწყვეტა პიესას ახდენს და მსახიობთაც აკრძალული აქვთ მოქმედების დასრულებამდე გამოსვლა თავის დასაკრავად.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

ექიმი

ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფებს დილის 10—11 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფები დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე, ხოლო საღამოობით 5—7-მდის.

კვირა-უქმე დღეებში 9—2-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38.
(წლ.)

ექიმი ალ. მაღალაშვილი

მიხეილის ქუჩა, 30. ტელეფონი № 450

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 10—1-დე და საღამოთი 6—8-დე. წლ.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჰ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, ნერვებისა და შინაგანის ავადმყოფისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ა. ნ. შჩაკოვსკი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტეპარია) შინაგანისა, ვენერიულ და კანის ავადმყოფობისა.

ზ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვების და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გუმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон-
(წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. დ. ღამბაშიძე—შინაგანი: 9—10.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 10—11 ს.

გრ. ვ. სობოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

ზ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

ტფილისი

◆ ბ-ნ წერეთლის საოპერო დასი, როგორც შევიტყეთ, ამ თვის 18-ს ტფილისიდგან გაემგზავრება ხარკოვს, სადაც თეატრი მზად დახვდებათ. უკანასკნელს კვირაში ისეთი კაი შემოსავალი ჰქონდა ოპერას, რომ ბ-ნმა წერეთელმა განიძრახა ტფილისში დარჩომა; მაგრამ ორკესტრი და ხორო არ დათანხმდა და ძველი საოპერო ორკესტრიც ამ ჟამად პეტერბურგში იმყოფება, ასე რომ წერეთლის აქ დარჩენა ყოვლად შეუძლებელია. რაოდენად იზარალა დასმა აშკარადა სჩანს იქიდამ, რომ გზათა მინისტრის განკარგულებით დასს მიეცა ნება უფასოდ წასვლისა მეოთხე კლასის ვაგონებით.

◆ ყოვლად-სამღვდელო ბენიამინი, ეპისკოპოსი გორისა, ოთხშაბათს, 13 ამ თვეს წავიდა ქ. გორში; თან წაჰყვა წევრი საქართველოს სასინოდო კონტორის არხიმანდრიტი გიორგი. გუშინ-წინ, 14 ნოემბერს, მათი მეუფება იქნებოდა მწირველი გორის საკრებულო ტაძარში.

◆ გუშინ-წინ დაბრუნდა პეტერბურგიდგან კავკასიის სწავლა-განათლების მზრუნველი მიხ. რომ. ზავადსკი; ავადმყოფობის გამო თავის თანამდებობის აღსრულებას ჯერ არ შესდგომია. გაზ. „Новое Обозрѣніе“-ს ცნობა შესახებ მ. რ. ზავადსკის კაზანს გადაყვანისა არ გამართლდა.

◆ ამას წინად გაზ. „ცნობის ფურც.“-ში იყო დაბეჭდილი, რომ ტფილისის გუბერნიის საერო სკოლების დირექტორი ნ. გ. დიმიტრიევი სამსახურს თავს ანებებსო. ჩვენ გვაცნობებენ, რომ დიმიტრიევი ისევ ტფილისში რჩება და განაგრძობს თავის თანამდებობის აღსრულდბას,

◆ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გადაუწყვეტია დააარსოს ბათუმში თანამდებობა ინსტრუქტორისა, ანუ იმის დამრიგებლისა, თუ როგორ უნდა მოშენდეს ჩაის ბუჩქი და რა მოვლა უნდა ამ გვარ ძვირფასს მცენარეს. რამდენიც უფრო მეტად გავრცელდება ჩაის ბუჩქი ბათუმის არემარეში, იმდენი მეტი რიცხვი ინსპექტორებისა იქნება დანიშნული.

◆ ბრინჯის ფასი, თუმცა ეხლა დიდძალი ბრინჯი მოდის შუა-აზიის სხვა-და-სხვა ადგილიდგან, ახლაც ისე ძვირია, როგორც იყო წინად, როდესაც ბრინჯი ნაკლებად მოჰქონდათ.

◆ უმაღლესის მთავრობის ნება-რთვით 20 ნოემბრისათვის დანიშნულია ქუთაისში კრება შავი ქვის მრეწველთა საზოგადოებისა ინჟინერის ცეიტლინის თავსმჯდომარეობით.

◆ მალე დათავდება ქუთაისში ხელ-ახლად დაფასება უძრავის მამულებისა ახალ დასაფასებელ ხარჯის შესაწერად.

◆ უცნაური ქურდობა მოხდა გუშინწინდამ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში. საზოგადოების მდივნის ოთახში ზანდუკი იდგა; ამ ზანდუკში დაცული იყო შარშანდელ

გამოფენის ექსპონენტებისათვის დასარიგებლად მიღებული ოქრო-ვერცხლის მედლები, სულ 50 თუმნად ღირებული, და ფულად 80 თუმნამდე. ქურდებს ეს ზანდუკი გაუტანიათ. „საზოგადოების“ პასამსახურე-დარაჯს პროკოფიევს უთქვამს: მე გაზეთსა ვკეცავდი დასარიგებლად, როცა გავათავე დაკეცვა და ჩემ ოთახში შეველი, საღამოს 6—7 საათზე მდივნის ოთახის ფანჯრის ბრახუნი შემომესმა; მიველ და ფანჯარა ღია დამხვდა, ერთი შუშა ამომტვრეული იყო და ზანდუკი აღარსად სჩანდაო.

ეჭვი აქვთ, წინად განზრახვით მოუწყვიათ საქმე და ისე ჩაუდენიათ ეს ქურდობა. დარაჯი პოლიციამ დააპატიმრა.

◆ აგერ რამდენიმე წელიწადია ზემო-აჭარაში, სოფელ ხულოში დასახლდა რამდენიმე კომლი რუსი. ესენი იყვნენ აქამდე უმღვდლოდ; ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება ქუთაისის გუბერნატორმა და იშუამდგომლა, რომ ს. ხულოში აშენდეს ეკკლესია და დაარსდეს სამრევლო. გურია-სამეგრელოს ეპისკოპოზმა, თანხმად მთავარ-მართებლის მოწერილობისა, დაჰნიშნა ხულოში მღვდელი ანტონ ფირცხალავა, სემინარიაში კურს-დამთავრებული და მედავითნედ—დოლიძე. საქართველოს სინოდის კანტორამ იშუამდგომლა უწმინდესის სინოდის წინაშე, რომ მღვდელს დაენიშნოს წელიწადში 1,200 მ., მედავითნეს—600 მ. ამასთანავე მღვდელი მისიონერადაც იქნება; მედავითნის ადგილზედ უეჭოდ უნდა მღვდელი იყოსო, რომელიც ამასთანავე მასწავლებლადაც იქნება სკოლაში. უწმიდესს სინოდს, როგორც ჩვენამდე მოაღწია ამბავმა, ეკკლესიის ასაშენებლად ს. ხულოში გადაუდვია შვიდასი თუმანი.

◆ შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუდვია 40,000 მან. ბათუმში მართლ-მადიდებელთა ტაძრის აგების დასამთავრებლად.

◆ დღეს, 16 ნოემბერს, საღამოს 8 საათზედ დანიშნულია კავკასიის სამკურნალო საზოგადოების კრება. კრებაზედ განხილული იქნება შემდეგი მორიგი საქმეები: მოხსენება საზოგადოების მმართველობისა იმის შესახებ, რაც დაადგინა და რა შუამდგომლობის დაწყებაც გადასწყვიტა კავკასიის მკურნალთა მეორე კრებამ; მოხსენება ა. მ. მაღალაშვილისა: Примененіе перекиси водорода при дезинтеріи, მოხსენება მარკევიჩისა და საზაროვისა.

◆ გაგრში, სოხუმის მახლობლად, ისეთი ამინდი თურმე, კაცს ეგონება, ზაფხულიაო. სითბო 15 გრადუსამდეა და ჰყვავის კაკტუსი, ვარდი და ია.

◆ უმაღლეს მთავრობას აზრადა აქვს, სავალდებულო გაჰხდოს კავკასიაში ყველა ქალაქისათვის შემოღება საურთიერთო თავდებობით ქონების დაზღვევისა ცეცხლისაგან.

◆ ნოემბრის წიგნი ჟურნალ „Вѣст. Евр“-ისა, რომელიც ყოველ თვეის პირველს გამოდის პეტერბურგში, მხოლოდ დღეს იქმნა მიღებული ტფილისში. ნომერი, ჩვეულებრივ, საინტერესოდ არის შედგენილი.

◆ საინგილოსკენ დანიშნულ იქმნა მისიონერად მღვდელი აპ. ივანიცკი.

◆ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების გაზეთის უკანასკნელ ნომერში დაიწყო ბეჭდვა ბ-ნ გ. ჟურულის საყურადღებო წერილისა „კოოპერაციების განვითარების საქმე დასავლეთ ევროპაში“. ამავე ნომერშია მოთავსებული დასაწყისი ტრატონოვის საინტერესო წერილისა: რა ეჭირვება უმთავრესად ამიერ-კავკასიის აღმოსავლეთად მდებარე ქვეყნების სასოფლო მეურნეობას.

—

12 ნოემბრის სამეურნეო კრება.

(დასასრული *)

ბ-ნ ფ. გოგიჩაიშვილმა სტატისტიკურის ციფრების აღნიშვნით განუმარტა დამსწრე საზოგადოებას, რომ ძნელია კაცმა ასე თუ ისე დაასკვნას, მართლა მრავლდება მცირე მამულების რაოდენობა, თუ კლებულობს. მრავალი ოფიციალური სარწმუნო ცნობანი ამასაც და იმასაც მოწმობს, მხოლოდ ამ გარემოებას დღევანდელ კითხვისათვის მაინცა და მაინც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს. პირიქით ამ კითხვის გამოკვლევა აქ წამოყენებულ საქმისათვის მეორე ხარისხოვან საგნად უნდა ჩაითვალოს. საქმე ამ ჟამად პრაქტიკულადაა დაყენებული, შესაძლოა, თუ არა დღევანდელ პირობებში ჩვენშიაც განვითარდეს და ფეხი მოიკიდოს კოოპერატიულმა დაწესებულებებმა. ჩვენის აზრით კოოპერაციების განვითარების განვითარების საქმეს ხელს შეუშლის ხალხის გაუნათლებლობა. სოფლად წერა-კითხვა თითქმის სრულიად არაა გავრცელებული. ეს გარემოება მეტად აფერხებს ყოველგვარ საქმეს. სოფლად ურიგებენ, მაგალ., „ოკლადნოი ლისტებს“ სხვა-და-სხვა სახელმწიფო ხარჯის გასაწევად. ერთი გლეხის „ოკლადნოი ლისტი“ ეძლევა მეორეს, ეს უკანასკნელი წერა კითხვის უცოდინარობის გამო ეწევა სხვის გადამეტებულ, ან დაკლებულ გარდასახადს. ამგვარი მაგალითები მრავალია და ამის შემდეგ, განა შესაძლოა ამავე გლეხმა რაიმე მონაწილეობა მიიღოს კოოპერატიულ დაწესებულებათა საქმეებში!

კოოპერატიულ დაწესებულებათა კეთილად წარმართვის საქმეს, ბ-ნ ორატორის სიტყვით, მეტად დააბრკოლებს ის გარემოებაც, რომ სოფელმა ამ ჟამად არ იცის შრომის დიფერენციაცია, ეკონომიური ურთიერთობა და მკვიდრთა უფლების უქონლობა. ვაი მას, ვინც მკვიდრთა შორის უფრო მეტს დაჰპარაკობს!.. ყოველ შემთხვევაში, ბ-ნ ფ. გოგიჩაიშვილის აზრით, კოოპერაციების დაარსება სასარგებლოა და საჭიროა ეს დაწესებულებანი დაარსდნენ ჯერ-ჯერობით იმ რაიონებში, სადაც ამისათვის შესაფერი პირობანი ხელს უწყობენ. ბ-ნი ოგოროდნიკოვი ურჩევს საზოგადოების წევრთ, რომ მოწვეულ იქმნენ თვით გლეხები და ეკითხოთ, რა უფრო საჭიროა მათის ეკონომიურის კეთილდღეობისათვის. თვით ბ-ნმა რეფერენტმა, გ. ჟურულმა, თავის ვრცელ სიტყვაში აწონ-დაწონა მოხსენების მოწინააღმდეგეთა ყოველივე მოსაზრებანი და დაუსაბუთებლად მიიჩნია ამ მოწინააღმდეგეთა მოსაზრებანი. ბ-ნი გ. ჟურული სავსებით იცავდა მოხსენებაში აღნიშნულ ყველა ტეზისებს. დაბოლოს სიტყვა წარმოსთქვა კრების თავმჯდომარემ, უგანათლებულესმა თავადმა პეტრე გრუზინსკიმ და განმარტა, რომ თუ საზოგადოების წევრნი სასარგებლოთ სთვლიან კოოპერაციების ჩვენში შემოღებას, როგორ მოვახერხოთ პრაქტიკულად, როგორ განვახორციელოთ ეს საქმეო. ჩვენის აზრით, განაგრძო უგანათლებულესმა თავადმა, კოოპერაციები ჩვენში მხოლოდ მაშინ მოიტანენ სარგებლობას, როცა მათი ორგანიზაცია გლეხის მართლადაც მძიმე ტვირთის შესამსუბუქებლად მოეწყობა, როცა გლეხი ამ დაწესებულების საშუალებით ტვირთს გაიადვილებს. რომ ამგვარი ორგანიზაციის დამყარება შესაძლოა, ამის უტყუარ მაგალითს პერმის შინაურ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება გვაძლევსო.

ამ საზოგადოების მოღვაწეობა მეტად ნაყოფიერია, განაგრძო ორატორმა, რომ უმთავრესი ადგილი დათმობილი აქვს გლეხის პირად კრედიტს, გლეხის შრომის შესაძლო აწევის უნარს, ამ საზოგადოების მოღვაწენი თვით გლეხების წრიდან არიან და სხვ.

შემდეგ ამისა საზოგადოებამ კენჭის ყრით ხმის უმეტესობით დაადგინა, აღძრულ იქმნას, თანახმად გ. ჟურულის მოხსენებისა, სათანადო შუამდგომლობა, რომ ტფილისის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ თავს იდვას ინიციატივა კავკასიაში კოოპერატიულ დაწესებულებათა დაარსებისა და განვითარებისათვის, დაარსებულ იქმნას საზოგადოებასთან განსაკუთრებული ბიურო, რომელიც უნდა ზრუნავდეს მკვიდრთა შორის კოოპერაციების დაარსების საჭიროების აზრთა განსამტკიცებლად, მთავრობამ დახმარება აღმოუჩინოს ამ კოოპერაციებს სპეციალურ საკრედიტო დაწესებულების და კავკასიაში მისი განყოფილებების დაარსებით და ამასთანავე გამოცემულ იქმნას სათანადო კანონები კოოპერატიულ დაწესებულებათა დაარსების უფრო გასაადვილებლად. კრება გათავდა ღამის პირველს საათზე.

ჩვენებური ამბები

ყვირილა. საზოგადოდ წელს აქეთ მოსავალს არა უშავს-რა. სიმინდის ფასებმა საკმაოდ დაიკლო, ხოლო ღვინო-კი ისევ კარგ ფასებშია: საპალნე ფასობს 30—50 მანეთამდე (საპანე ათი ჩაფია). აქეთ ძლიერ ცუდი ტაროსია, ცივა და დრო-გამოშვებით თოვს.

ხესტაფონელი.

—

გოდოგანი (ქუთაისის მაზრა). ეს სოფელი ძევს ქუთაისიდგან შვიდ ვერსზე. ამ სოფელში ორასზე მეტი მცხოვრები არის, გლეხი და აზნაური; აქ უხვად მოდის პური, სიმინდი და ღვინო. არც სკოლაა, არც ხეირიანი გზა, ერთმანერთის მიყოლა და ერთობა აქ არ იციან, არამედ უფრო ემარჯვებათ ჯაშუშობა, ერთმანერთის ღალატი, ტყუილი ფიცი. აქ რომ კაცს ხელი მოუმართო ფულით და მერმე ისევე შენი სთხოვო, უარს გეტყვის, რიდის რა მოგიციაო. აქაური ეკკლესიაც საწყლად არის მიტოვებული, რომ შეხედოთ ასე გეგონებათ, შაჰ-აბაზს აუკლიაო. სკოლის გახსნის თაობაზე ყველანი პირ-დამუნჯულნი არიან.

ნოე.

კავკასია

ქდ. ბაქოს პოლიცმეისტერს უბრძანებია ბოქაულებისათვის: ქუჩის აბდაკატებს და თხოვნების მჯდაბნელებს სასამართლოს შენობის ახლო-მახლო ნუ გაჰჭაჭანებთო. თუ ვისმე თხოვნის დაწერა სურს, ნაფიც ვექილთა კონსულტაცია მიასწავლეთო. აბდაკატები და თხოვნების მჯდაბნელნი შეიპყრეთ და მე წარმომიდგინეთო.

—

ბაქოს ბირჟის კომიტეტის მდივნის ნერსესოვის ავადმყოფობის გამო მიწვეულია მის ადგილზე ა. ნ. საფაროვი.

—

ნავთის მწარმოებელთა მე-XVIII კრება დანიშნულია 2 დეკემბერს.

რუსეთი

8 ოქტომბერს ეკატერინოსლავის საგუბერნიო ციხიდგან 20 ტუსაღი გაქცეულა. აუყრიათ იატაკი, მიწა გაუთხრიათ, ხვრელი გაუტანიათ ბაღსა და მიყრუებულს ადგილამდე. სამი იქვე შეუპყრიათ.

— რუსეთის რკინის გზის სადგურებზე 50 მილიონი ფუთი პურია შეგროვილი. ამის შესახებ 8 ნოემბერს პეტერბურგში კრება ჰქონდათ რკინის გზის ინჟინრებს. კრებაზე მოხსენებული იყო, რომ მიზეზი სადგურებზედ პურის შეგროვებისა არის რკინის გზის უმოძრაობა და უსაცოცხლობაო. მოსპეთ ეს ანორმალური მდგომარეობა და პურიც თავის დროზედ თავის ადგილზედ მივაო.

— „Новости“ შეეხო ერთ საჭირ-ბოროტო საქმეს: საჭიროა თუ არა ჯარისკაცის სამსახურის ვადა შემცირდესო? და თითონვე პასუხად ამბობს: ჩვენის გლეხობის კულტურულად წინ წასაწევად ჯარის-კაცის სამსახურის ვადა 4—5 წელი—უსათუოდ 2—3 წელზე უნდა ჩამოვახდინოთო.

— მოსკოვის ღარიბ სტუდენტების დამხმარებელ საზოგადოების კომიტეტს 300 სტუდენტის მაგიერ შეუტანია სწავლის ფული. კიდევ 250 სტუდენტი დარჩა დაუკმაყოფილებელი.

— რუსეთის სამხრეთად სხვა-და-სხვა სამრეწველო დაწესებულებას საანგარიშო წელს 30,000 მუშა კაცი დააკლდა შარშანდელ წელთან შედარებითაო.

— პეტერბურგის ქალთა სამკურნალო ინსტიტუტებში 111 ქალს დაუსრულებია სწავლა. მათ შორის 93 დაჯილდოვებულია.

— ფიქრობენ, სრულიად რუსეთის თამბაქოს მწარმოებელთა და თამბაქოს მქარხნეთა კრება გამართონ თამბაქოს საქმის გამოსარკვევად რუსეთში. ამბობენ, რომ ამ კრებაზედ ჩამოაგდებენ ლაპარაკს სრულიად რუსეთის თამბაქოს მქარხნეთა კავშირის დაარსებაზედაცაო.

— სათანადო მთავრობამ შეიმუშავა ნორმალური წესდება პატარ-პატარა სამრეწველო ამხანაგობათა და არტელებისა. წესდების პროექტს მალე წარუდგენენ სასოფლო-სამეურნეო საბჭოს წევრთა კრებას.

— წელს ბევრად მეტი მოსავალი მოვიდა რუსეთში, ვიდრე შარშან. პური 810 მილ. ფუთი, შვრია 750 მილ., ქერი—375 მილიონი და ჭვავი—2.252.000,000 ფუთი.

— მიწათ-მოქმედების სამინისტროს დაუბეჭდია მშვენიერი ალბომი, რომელშიაც ყოველივეა ანუსხული და დასურათებული, რაც-კი რუსეთის შინაო-მრეწველობას შეეხება. ალბომი გაეგზავნებათ სასწავლებლებს, რომ მის შემწეობით შეგირდებმა გაიცნონ მდგომარეობა შინაო-მრეწველობისა რუსეთში.

უცხოეთი

ავსტრია-უნგრეთი (დასასრული). თითქმის იგივე აზრი გაატარა თავის სიტყვაში მეორე ჩეხელ დეპუტატმა დოქტორ ჰეროლდმა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ეროვნულ განხეთქილების საკითხს სულ სხვა მხრით შეეხო. დღემდე გერმანელები ისე ოსტატურად მოქმედობდნენ, რომ ჩეხები იძულებულნი იყვნენ ხვეწნა-მუდარით გამოეთხოვათ თავიანთი ეროვნული უფლებანი. აი, ამის შესახებ დოქტორ ჰეროლდმა განაცხადა,—ჩვენ-კი არ უნდა ვსთხოვდეთ გერმანელებს მოწყალებასავით, ბოჰემიაში ჩეხებს ისეთივე უფლებანი მიანიჭეთ, როგორც გერმანელებს აქვთ-თქო; ბოჰემია ჩვენის სისხლითაა მორწყული და ჩვენის ძვლებით გაპოხიერებული; მაშასადამე, თვით გერმანელები უნდა გვევედრებოდნენ ჩეხებსა, თქვენთან გაგვათანასწორეთო. ჩეხები მზად არიან გერმანელები ყველაფერში გაითანაბრონ ბოჰემიაში, მაგრამ გაბატონებით-კი, ვერ გაიბატონებენ. იქნებ ვისმე ეგონოს, რომ ეს მარტო უაზრო სიტყვაა, მაგრამ დიდად შესცდება; ჩვენი იმდენი ძალა-კი შეგვწევს, რომ ჩვენი უფლება დავიცვათ, და კიდეც შევისრულებთ წადილსა. გახსოვდეთ, რომ სანამ მთავრობა არ შეიგნებს ამ აზრსა, ავსტრია მუდამ ასეთ კრიტიკულ მდგომარეობაში იქნება. დღევანდელს მდგომარეობას ოდნავაც ვერ შესცვლის მარდო დაპირება და ძმობა-მეგობრობის ქადაგი, რაზომ მჭევრ-მეტყველურად იყოს იგი წარმოთქმული. ტყუილად ხარჯავს მინისტრ-პრეზიდენტი კერბერი ლამაზ-ლამაზ სიტყვებსა; ჩვენ არა ერთხელ გვსმენია მთავრობისაგან იგი, მაგრამ ნდობა დაჰკარგა, აღარავითარი მნიშვნელობა აღარა აქვს ჩვენთვის; საქმით უნდა დაგვიმტკიცოთ მეგობრობა, თუ მართლა ძმობა და ერთობა გწადიათ. შეიძლება მთავრობა უძლურად სცნობდეს თავის თავსა ამ საქმეში; თუ ეს ასეა, მეტი გზა არაა, თავისი ადგილი სხვას უნდა დაუთმოსო. ჰეროლდის შემდეგ ილაპარაკა ჩეხელ დეპუტატმა სტრანსკიმ და სავსებით მიემხრო ჰეროლდის აზრსა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩეხები, თუმცა კრიქაში უდგანან და საოტს არ აძლევენ მთავრობას, მაგრამ უფრო დინჯად და თავშეკავებით მოქმედობენ, ვიდრე წინად.

სამაგიეროდ გერმანელი დეპუტატები მოთმინებიდგან გამოდიან და სულ ყალყზე დგებიან. მაგ., დეპუტატებმა ფუნკემ და ბარეიტერმა კერბერს შეუტიეს,—თქვენ მიერ გამოთქმულს აზრს გერმანელები არაოდეს არ დაჰყაბულდებიან; ჩვენ არაფერს არ დავუთმობთ ჩეხებსაო; აქ, პარლამენტში, ჩვენ ცხადად დავრწმუნდით, თუ რა ძალ-მომრეობა შეუძლია სლავიანთა უმრავლესობას. მაშ, რად გიკვირთ, თუ ჩვენ გერმანიის იმპერიის ქვეშევრდომობას ვამჯობინებთ ისეთ ავსტრიას, რომელშიაც სლავიანები იქნებიან გაბატონებულნიო. გაუმარჯოს ჰოგენცოლერნთაო! შესძახა მეორე „სრულიად გერმანელ“ დეპუტატმა ბერგერმა ორატორს.

ფელეტონი

წარსულიდან.

I

ყადორის მთა! ყადორის ციხე!.. მართლა რომ დიდებული ბუნების პატრონია ჩვენი ქვეყანა! დიდებულის და საოცარის!.. ნაბად ქვეშ ოთხად მოკაკულთ ზევიდან თოვლის ნაპენტები დაგვდის ყადორის მახლობლად კავკასიონის მწვერვალოზედ. ნაბდებ ქვეშიდან ნუგეშად ჩამოვცქეროდ ლამპრებით გაჩაღებულს ქ. თელავს, რომელსაც გაკაშკაშებული და ვარსკვლავებით მოჭედილი ლურჯი ცა დანათის; თანაც ზაფხულის ღამის სითბოთი შეწუხებულ მოქალაქეთ ფანჯრებიც-კი დაუღიათ... ჩვენი ნატვრა ერთია: გაგვაჩინა იქ, გაგვათბო და ამ ძვალ-რბილში გამსჭვალველ ნისლსა და სიცივეს მოგვაშორა...

გაუძელით. გათენდა. ცამ მოიწმინდა და მთამაც მოიმხიარულა... თოვლ-ქაპად იქცა და ხავერდის მოლმა თითქო პირი დაიბანაო, უფრო მოლამაზდა და ატურფავდა ყვავილებით. ცხვარი გაიშალა და ხარბად დაუწყო ძოვნა ნაზ ყვავილ-ბალახს. ჩვენც მალე გაგვითბა ძვალ-რბილი და ნაშუადღევს ისე დავცხა, რომ გავეშურენით იქვე უშველებელ ნაპრალის თავში დარჩენილ ზვავისკენ *); მის ნაპირს დავსხედით და შევუდექით სადილს. სუფრას გვიმშვენებდა ცივად მოხარშული ლეკის მთაზედ ნასუქი ცხვრის უგემრიელესი ხორცი და იქვე ანკარა, ღრმა ტბაში დაჭერილი საყვარლად დაწინწკლული კალმახი... კახურით ყელს ვისველებდით და თან უდარდელი სიამოვნებით დავცქეროდით უფსკრულში გაჭიმულ ტურფა ალაზნის ველს, სადაც ვაზზედ წითლად ჰკვრახავდა ამინდი ყურძნის მტევნებს... ვიღას ახსოვდა ჯოჯოხეთური ტანჯვა იმ ღამისა?! საოცარია ბუნების კანონი და მისი ძლიერება: ტანჯვას ხელად სცვლის სიტკბოებაზედ და სიკვდილს აქრობს სიცოცხლით!..

აგერ შემოჰყვა ბატკნობა ჩვენ ქვემოდ ნაპრალის ნაპირებზედ ატეხილ დუცს და თითქო თოფს ისვრიანო, ისე აუტეხა კბილით ტკაცა-ტკუცი ამ მცენარის პარკებს. აგერ ამოვიდნენ ჩვენს მახლობლად ზვავზედ და დაეყარნენ ზედ, სიმსუქნითა და სიცხით გალექებულნი... მალე მათ გარეშემო, თითქო სისხლით შეიღებაო, ისე გაწითლდა თოვლი.

— ეს დალოცვილი დუცი რა ძალის ბალახია, რომ სისხლს აშარდვინებს ცხვარს და თან ამით ჰხვეწამს, სწმენდს?!. სანაქებოა თრიალეთი, მაგრამ იქ დუცი არ არის, იმიტომაც ლეკის მთის ცხვრის ხორცს იქაურისა არ შეედრება—სთქვა ბიძაჩემმა დავითმა.

— არა, ბატონო დავით! თრიალეთი სამოთხეა ამ წყეული ხევ-ნაპრალებთან. იქ დუცი არ იცის, მაგრამ ლურჯი ფამფარა რაღა ნაკლებია?! მერმის, რომ გაჰქრეს ცხვარი, აქ აღარ წამოვასხავ. გავალ თრიალეთს და ზიარეთის გემრიელ წყლებს ჩავატკბანურებ ცხვარსაც და ჩემს თავსაც,—სთქვა ჭაღარა მწყემსმა ქახომ.

— მართალი ხარ, ქახო,—ჩამოართვა სიტყვა ბიძა ჩემმა, მაგრამ აქაურ ნასუქ ცხვრის ხორცს სხვაგნებური ვერ შეედრება. უწინ ჩვენ მეფეებს კარგა სცოდნიათ პირის გემო: როცა-კი ლეკეთს იგდებდნენ ხოლმე ხელთ, მაშინვე ლეკებს ცხვრით ჰბეგრავდნენ. მერე ზურგზედ უნდა შეესვათ ცხვარი და ისე მიეყვანათ მეფის კარს. ნაბრძანები იყო: თუ ვინმე მოასწრობდა ლეკს, რომელსაც ცხვარი ზურგზედ არ ესვა და რითიმე მიჰყავნდა, უნდა დეეშალა და შეეძლო გაელახა კიდეც.

— ჰარიქა, ბიჭებო! ბინა აჰყარეთ! თავს უშველეთ!.. ლეკის ჯარი მოდის, ლეკის ჯარი! გაისმა საზარელი ძახილი ჩვენ ზემოდ ამართულ გორის წვერიდგან.

ვიღას ახსოვს სუფრა! კალმახი, კახური! ყოველისფერს გაშლილს დავანებეთ თავი და გავეშურენით ბინისკენ, ცხენებთან. ასტყდა თოფის ხმა, ყიჟინა... დავინახეთ, რომ გაღმა, მეზობელ ბინებში შავად იყო ჩაწოლილი ლეკის ჯარი, ელავდა თოფის ნასროლი... დგებოდა კვამლი... იყო მიხლა-მოხლა ცხვრის ფარებისა.

— თავს უშველეთ, ბიჭებო, თავს! ბარგსა და ცხვარს თავი ანებეთ, ღვთის გულისათვის და გაიქეცით! სხვაფრივ საქმეს აღარა ეშველებაო!.. გაიძახოდა მეხის ხმით ბიძაჩემი და თან, ცხენზედ შემჯდარი, იარაღს ისწორებდა. მოვაფრინდი მეც ჩემს ლაზათიან ცხენს და დავეშვით საშინელ ხევ-ხუვებისკენ.

კარგა ჩავიქვევითეთ, რომ გაღმა სერზედ თვალი მოვკარით ცხვრის ფარას... აეთრივნა ქახოს ნაბადი *) გარბოდა წინ და ცხვარიც ტყვიასავეთ მისდევდა ნაბადს. უკანიდან ფერას ლაგაზი მისდევდა.

— ქახო, ლაგაზო!! ღვთის გულისათვის დააგდეთ ნაბადი! გაანებეთ ცხვარს თავი! მარტო თავს უშველეთ, ძმებო, თავსააა!!—სიტყვა გაგრძელებით გასძახა ბიძაჩემმა.

— ქახო მოგიკვდეს, დავითია, თუ წუნკალებს ცხვარ შევაჭმევ! მისცა პასუხი ქახომ და უფრო მედგრად დაითრია თექა, ცხვარი ბღავილით მისდევდა... სერს მარტო მტვერი ასდიოდა...

უცებ ზედ ქახოს წინ ციცაბოზედ გაჩნდა ხანჯალ ამოღებული გძელ-ბეწვა ქუდიანი ლეკი, რომელმაც კბილების კრაჭუნით მოურბინა წინადან ცხვარს.

— სად მოხვალ, წუნკალო?! მისწყდა შენი ვარსკვლავი!! შესძახა ქახომ, შემოუქნია ხმალი და მოაგდებინა ლეკს თავი... თავიც და ტანიც საშინელის თრთოლვით დაგორდნენ ციცაბზედ.

მაგრამ ხევიდან შემოურბინა ცხვარს მთელმა ბრბომ ლეკისამ. გავარდა ლაგაზის თოფი და გაგორდა ერთი ლეკიც... შემდეგ ასტყდა ყიჟინა, თოფის ჯახი-ჯუხი და დაერივნენ ცხვარს, ლაგაზას, ქახოს.

წუწუნით გაუგზავნა გამოღმიდან რამდენიმე ტყვია ლეკებს ბიძაჩემმაც, მერე გადმოფრინდა ცხენიდან და გაექანა მათკენ. მე მაგრად ვტაცე ხელი ჩოხაში.

— სად მიხვალ, კაცო, სხვების სისხლი არ ეყოფათ, რომ ჩვენითაც არ გაძღნენ ეგ ურჯულონი?! და ვაი ვაგლახით შევსვი ცხენზედ.

თითქო ელვააო, ისე ჰყრიდნენ ჩვენი ცხენები ფეხებიდან ნაპერწკლებს, როცა საშინელ ფსაკოებზედ დავეშვით გამოშეტებით.

— ვაი დედასა!.. აკუწეს ბეჩავი ქახო ლეკებმა!.. თაირემ ლაგაზს ვერ იგდებენ ხელში... ძაღლია ლაგაზი! ლობემძვრალა ჩიტივით დაძვრება ხევ-ხუვებში,—ამბობდა ბოლმა ყელში მოჭრილი ბიძაჩემი და მიერეკებოდა ცხენს...

იმ ღამეს ჩაველით ს. გავაზში... ბიძაჩემი დაჭრილივით გმინავდა... ლუკმას არ უშვებდა პირში... ამხანაგების ფიქრში იყო... უფრო ბეჩავი ქახო ენანებოდა...

II

მთავრობამ შეგვატყობინა ავსულიყავით მთაზედ და გვეპატრონნა ჩვენის ფარებისათვის, რადგან რუსის ჯარი მოსწევოდა ლეკებს, ცხვარი დეეყრევინებინა და ახლა მუსრს ავლებდნენ იმათ სოფლებს... მე და ბიძაჩემი მალე ავედით მთაზედ. მე გავეშურე ყადორის ციხისაკენ, რადგან გავიგე, რომ ჯარი შემოჰრტყმოდა იქ შეხიზნულ აჯანყებულ ლეკებს და მათს ოჯახობას. ბიძაჩემმა-კი მოიტირა-რა ხმით აკვილი ქახო, ხანჯლით შუაზედ გააპო მისი გვამი, შიგანური იქვე დაასაფლავა, ხოლო გაპობილ ნაწილებს შეყარა მარილი, ჩააწყო ხურჯინში, გადაჰკიდა ცხენს და გაიტანა მამა-პაპურ სამარხში და საკრძალავად ლაგაზს, რომელიც რაღაც სასწაულით ცოცხალი გადარჩენილიყო.

ყადორის ციხესთან მიველ იმ დროს, როდესაც მილიცია ცეცხლის წაკიდებას უპირებდა ციხეს და თან უკანასკნელად ურჩევდა „აჯანყებულებს“ დამორჩილებას. მაგრამ სანათურებიდან გამოჩნდნენ თმა-გაწეწილნი ლეკის დედა-კაცნი. კბილების ღრჭენით მუშტებს უღერებდნენ ჯარს; ზოგნი ფეხით თავიანთ ბალღებსაც გადმოკიდებდნენ ხოლმე და საზარელის ხმით რაღაცას გამოჰკიოდნენ. ენის მცოდნენი ასე სთარგმნიდნენ იმათ ნათქვამს: „ჰაა, ძაღლებო! ჭამეთ ჩვენი ხორცი და ჩვენი შვილებისაო“!..

მოუკიდეს ცეცხლი ციხეს... ავარდა კორიანტელი და მალე საშინელი ალი მოედო კედლებს... ჯარი მუნჯად ადგა ციხეს ირგვლივ... ციხიდან მოისმოდა კვნესა, წყევა,

---

*) იხ. „ივერია“ № 245.

*) ძველად დარჩენილი თოვლის გროვა.

*) გაჭირვებისას მიზეზედ მეცხვარე ნაბადს აითრევს და ცხვარი ცხენზე უმალეს გაჰყვება შეშინებული.

ავსტრიის მთავრობას მეტად აფიქრებს ის გარემოება, რომ გერმანელ მკვიდრთა შორის მათ უფრო ფეხს იკიდებს გერმანიის იმპერიისადმი თანაგრძნობა და ლტოლვა, რომ ამ უკანასკნელად იგი იძულებული ხდება ბევრი რამ დაუთმოს სლავიანებს; ამის წინააღმდეგ არაიან, არამც თუ „სრულიად-გერმანელნი“, თვით ზომიერნი გერმანელნიც-კი.

ბელგია. ბურების გენერალ დელარეის, რომელიც ლონდონით ბრუსელს მისულა, განუცხადებია გაზ. „Petit Bleu“-ს თანამშრომლისათვის,—ბურების გენერლებმა გადასწყვიტეს ევროპაში მოგზაურობას თავი გაანებონ და სამხრეთ-აფრიკაში დაბრუნდნენ, რათა ახალშენთა მინისტრ ჩემბერლენს დახვდნენ და დაწვრილებით გააცნონ ახალშენთა უნუგეშო მდგომარეობა. განზრახვა აქვთ ჩემბერლენს პრეტორიაში შეხვდნენ.

ავღანისტანი. ავღანისტანის ემირს, ჰაბიბულას ნება დაურთავს გერატსა, გაზარი-შერიფსა და მერამ-მაზარში ინგლისის სამხედრო აგენტების დანიშვნისა.

ავღანისტანის ერთი მამაცი ტომი—ბუესუდნი—მეგობრულად მიჰგებებიან ინგლისის ოფიცრებს, რომელთაც ამას წინად დაათვალიერეს ავღანისტანის ციხე სიმაგრენი.

სხვა-და-სხვა წერილები

გორის საოსტატო სემინარია, მისი წარსული და აწმყო მდგომარეობა.

შარშან სწორედ ოც-და-ხუთი წელიწადი შესრულდა, რაც გორში დაარსდა საოსტატო სემინარია, რომელიც დღესაც შეცდომით იწოდება გორის სემინარიად-კი არა, არამედ **კავკასიის აქეთა მხრის სემინარიად**, თუმცა ეს ასე არ უნდა იყოს, რადგან კავკასიის აქეთა მხარეს, გარდა გორის სემინარიისა, აქვს კიდევ ორი სემინარია: ხონისა და ერევნისა.

გორის სემინარია დაარსდა იმ დროს, როდესაც მაშინდელი პედაგოგები ხელმძღვანელობდნენ განსვენებული უშინსკის მოძღვრებით, რომლის მიხედვით თვით საერო განათლების სამინისტრო ითხოვდა, რომ სახალხო მასწავლებელი უეჭველად ყოფილიყო აღჭურვილი სამშობლო ენის ცოდნითა, ამიტომაც გორის სემინარიაშიაც ფართო ადგილი დაეთმო ადგილობრივ ენებსაც და თვით ამ ენების მასწავლებელთ ისეთივე უფლება მიენიჭათ, როგორც დანარჩენ უმთავრეს საგნების მასწავლებლებს. სხვა სემინარიებთან შედარებით გორის სემინარიას ყოველ მხრივ ბედმა გაუღიმა და ამ სასწავლებელს არგუნა ისეთი ხელ-მიწვენით მცოდნენი ქართულის ენისა, როგორნიც არიან პატივცემულნი მიხეილ ყიფიანი, არისტოტელ ქუთათელაძე და ნიკო ლომოური.

„გაჰქრა ენა, გაჰქრა ერიო“, —ღაღადებს ამას სამაგალითო უნიჭიერესი პედაგოგი რუსეთისა განსვენებული უშინსკი. ამ ოთხს სიტყვას უძღვნის უშინსკი არა მარტო რუსეთს, არამედ მთელ კაცობრიობას. ამ სიტყვებით ხელმძღვანელობდა როგორც თვით განსვენებული უშინსკი, ისე მისი მეცნიერების მიმდევარნი და თაყვანის-მცემელნი მაშინდელი მთელი რუსეთის პედაგოგები, რომლებიც ემსახურებოდნენ საზოგადოებას და არა საზოგადოება მათ. აი რაზედ იყო დამყარებული მათი შეხედულობა სწავლა-განათლების საქმეში. ამ ოთხს სამაგალითო სიტყვაში აღნიშნა და დაანახვა თავის თანამედროვე პედაგოგებს ხალხის და ენის იურიდიული უფლება სწავლა-განათლების საქმეში და ეხლანდელებს კიდევ ის უანდერძა, რომ მათ არ მოესპოთ ხალხის ენა, არამედ იგი აეყვავებინათ სხვა-და-სხვა კულტურული ხალხის მეცნიერებითა, სწავლა-განათლებითა, რომელიც უნდა შეესწავლა ახალ-თაობას თავიანთი ენის შემწეობითა და დახმარებით.

ამავე მოძღვრების მიმდევარი და მტკიცედ შემასრულებელი იყო უშინსკის სიძე, გამოჩენილი პედაგოგი და გეოგრაფი, აწ განსვენებული დიმიტრი სიმეონოვიც, რომლის მოღვაწეობა და ხელმძღვანელობა წილადა ხვდა გორის სემინარიას. ჭეშმარიტად, ის ხანა, როდესაც ნეტარ ხსენებული სიმეონოვი იყო დირექტორად გორის საოსტატო სემინარიისა, უნდა ჩაითვალოს ამ სასწავლებლის აყვავებისა და აღორძინების დროდ. მხოლოდ ეს დრო შეიძლება ჩავთვალოთ იმ სანატრელ დროთ, როდესაც ყველა ადგილობრივ ენას თავისი ალაგი და დრო ჰქონდა ამ სასწავლებელში. მაშინდელმა, ამ ერთად-ერთმა სემინარიამ საქართველოში დაარსებულმა, ბევრი სამაგალითო სახალხო მასწავლებლები მოგვცა, რომელნიც დღესაც მოღვაწეობენ პირნათლად ხალხის სწავლა-აღზრდის საქმეში. არ ანაცვალებენ ხალხის ინტერესებს სხვა-და-სხვა უკუღმართ პედაგოგების მიერ ენის შესასწავლად მოგონილ სისტემებს. სწორედ ეს დრო იყო, როდესაც ახლად დაარსებული გორის სემინარია აძლევდა ქვეყანას და ხალხს არა „ჩინოვნიკებს“, არამედ ახალი თაობის ჭეშმარიტ აღმზრდელთ, სახალხო მასწავლებელთ, რომელნიც იყვნენ კეთილნი მუშაკნი და გატაცებულნი ქვეყნისა და, ხალხის სიყვარულით, ბევრი გაჭირვება და დამაბრკოლებელი მიზეზები ვერ აშინებდნენ მათ, პირიქით, მედგრად ებრძოდნენ ყოველივე ხალხის დამაქვეითებელს გარემოებათ სწავლა-აღზრდის საქმეში. ისინი არ იყვნენ გატაცებულნი სხვა-და-სხვა პირადი ინტერესებით, არამედ ხალხს და საზოგადოებას ემსახურებოდნენ. მოკლედ რომ ვსთქვათ, ისინი ხალხისათვის იყვნენ და არა ხალხი მათთვის.

სიმეონოვის დროის კურს-დამთავრებულნი სემინარიელები რომ შევადაროთ ეხლანდელ სემინარიელებთან, დიდ უპირატესობას მივცემთ მაშინდელებს როგორც განვითარებით, ისე მასწავლებლობის ხელოვნობის ცოდნით. დიდი ხანი არ არგუნა ბედმა გორის სემინარიას სიმეონოვის დირექტორობა და ხელმძღვანელობა, მაგრამ ამ მცირე ხანსაც ბევრი რამ სასიკეთო გაკეთდა, ბევრი კარგი და სამაგალითო სახალხო მასწავლებელი წარგზავნა სემინარიამ ამ დროს საქართველოს სხვა-და-სხვა დაბა-სოფლებში. ეს კეთილნი მუშაკნი, მიმდევარნი სიმეონოვის პრინციპებისა სწავლა-აღზრდის საქმეში, თუ კიდევ არიან სადმე მასწავლებლად, პირნათლად მოღვაწეობენ ხალხის საკეთილდღეოდ და მუდამ იმას სცდილობენ, რომ „არ გაჰქრეს ენა, არ გაჰქრეს ერი“.

განსვენებულს სიმეონოვს და მის თანამოსამსახურე სემინარიის მასწავლებელთა კორპორაციას კარგად ჰქონდათ გათვალისწინებული და შეგნებული, რომ შეგირდებს რამდენადაც წიგნების კითხვის (ნამეტნავად უფროს კლასებში) ნებას მისცემდნენ, იმდენად იგინი განვითარდებოდნენ და გაიწვრთნებოდნენ მომავალ ცხოვრებისათვის. ნებას აძლევდნენ აგრეთვე ეკითხათ პერიოდიული გამოცემებიც, ჟურნალ-გაზეთები, რომ მომავალ მასწავლებელთათვის მიეცათ ღონის-ძიება მომზადებულიყვნენ საზოგადო სარბიელისათვის.

დანარჩენს საგნებს, რუსულ ენას, პედაგოგიას, არითმეტიკას და სხვ. ხომ ჩინებულად გადიოდნენ მაშინდელი სემინარიელები. განსვენებულს სიმეონოვს, როგორც დახელოვნებულს პედაგოგს, ჰქონდა შორს მჭვრეტელობა, მას თვალ წინ მუდამ ედგა, რა მომზადება უნდა ჰქონოდა ახლად გამოსულს სახალხო მასწავლებელს, რომ იგი ყოფილიყო არა გარეგანი აღმზრდელი ახალი თაობისა, არამედ ნამდვილი მისი სულიერად ხელმძღვანელი. გარდა ამისა, განსვენებულმა ისიც კარგად იცოდა, რომ იმ მოკლე დროს, რომელიც უნდა დაეყო სემინარიელს სასწავლებელში, ვერ მოასწრობდა იგი გაეცნო საპედაგოგიო ლიტერატურა, ამისათვის სიმეონოვი ზეპირ-გარდმოცემით აცნობებდა შეგირდებს ყოველივე საჭირო ცნობებს, რომელნიც ჰქონდა მას ამოკითხული და შეძენილი სხვა-და სხვა წყაროებიდგან და თავის გამოცდილებით. მას თვალ-წინ ედგა ის სამწუხარო სიღარიბეც სახალხო სკოლების ბიბლიოთეკებისა, რომ მათში არ მოიპოვებოდა იმისთანა წიგნები, რომლებიდგანაც შესძლებოდა მასწავლებელს სემინარიიდგან გამოტანილი და შეძენილი ცნობები ანუ სწავლა თავის ხელობისა და განვითარების შესახებ გაეგრძელებინა მასწავლებლობის დროსაც-კი, ამისათვის ის არ უკრძალავდა წაეკითხათ სხვა-და-სხვა წიგნები სამშობლო ენაზედაც. მისი წაკითხული პედაგოგიური რეფერატები და ლექციები გადაიცემოდნენ ხოლმე ახლად დამთავრებულებისგან თავიანთ მომდევნო კურსის ამხანაგებზედ იმ დროსაც-კი, როდესაც სიმეონოვი გადაყვანილ იქმნა სემინარიიდგან. ასე აფასებდნენ სიმეონოვის ნიჭს, როგორც თვით სიმეონოვის შეგირდები, ისე სხვა დირექტორების დაწვრთნილნიც.

შეგირდები, ნამეტნავ იმ დროს, როდესაც სასწავლებელს ათავებენ, ყოველთვის აფასებენ კარგსა და ცუდს მასწავლებელსა და იშვიათად სტყუვდებიან ხოლმე თავიანთ შეხედულებით და იმედია, ახლად დანიშნული დირექტორი სემინარიისა ბ-ნი მიროპიევი, როგორც გამოცდილი პედაკოგი, მიაქცევს ყურადღებას ამ არა სასურველს მოვლენას, არ შეიტანს სემინარიისთან არსებულ პირველ დასაწყის სასწავლებელში „მუნჯური მეთოდით“ სწავლებას, სცნობს რა უვარგისად ამ ღონისძიებას სწავლა-აღზრდის საქმეში, მით უმეტეს, რომ უმაღლესს მთავრობას ჯერ არავითარი განკარგულება არ მოუხდენია და არ დაუვალებია მასწავლებელთათვის ამ მეთოდით სწავლება, მისცემს შეგირდებს იმდენ თავისუფლებას, რომ სემინარიაშივე განვითარდეს მათი გონება და შესძენს უსაჭიროესს ცოდნათ, როგორც ცხოვრებაში გამოსადეგთ, ისე მასწავლებლობის ხელობის შესასწავლად, ახალ თაობის სწავლა-აღზრდის საქმეს, სამშობლო ენასაც თავის ალაგს დაუთმობს, რადგან გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ თუ სახალხო მასწავლებელს კარგად არა აქვს შესწავლილი ხალხის ენა, იგი მასწავლებლობას და ხელმძღვანელობას ვერ გაუწევს ამ ხალხს.

გორელი ფ—შვილი.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი.

მუშაკი და ნებიერი, კომ. 4 მოქ. და 5 სურ.
ჟორჟ ონესი, თარგ. პ. ყიფიანისა.

ხუთშაბათს, 14 ნოემბერს, ქართულ დრამატიულ დასის მიერ ქ-ნ ნ. ჩხეიძის მონაწილეობით წარმოდგენილ იქმნა ონეს პიესა „მუშაკი და ნებიერი“. ამ პიესის ღირსება-ნაკლულევანებას და ჩვენს სცენაზედ მის შესრულებას დაწვრილებით შემდეგ გავაცნობთ მკითხველს; ამ ჟამად-კი სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ახალგაზრდა მსახიობის ნ. ჩხეიძის სასცენო ნიჭი თანდა-თან ფრთას ისხამს და ძლიერდება. სწორედ შეუდარებელი იყო იგი ფუფუნებაში გაზრდილ, განებივრებულ და ბუნებით ამაყ კლარას როლში. მიხვრა-მოხვრა, სახის გამომეტყველება, ყოველი მისი სიტყვა ნათლად ამტკიცებდა, რომ მსახიობ ქალს სავსებით შეეგნო და გამსჭვალულიყო განებივრებულ კლარას გულ-ზვიადობით. კარგი იყო ბ-ნი კ. მესხი გულწრფელისა და პატიოსან მუშაკის ფელიპ დერბლეს როლში. დანარჩენნი მსახიობნი ხელს უწყობდნენ პიესის მწყობრად ჩატარებას, თუ სახეში არ მივიღებთ ბ-ნ რკინელს (ქიმი სურვანი), რომელმაც ქუდის მოხდაც-კი ვერ მოახერხა რიგიანად. წარმოდგენას საზოგადოება ბლომად დაესწრო.

ნარკვევი

ყაჩაღობა, ცირალობა სოციალური მოვლენაა და ცხოვრებამ წარმოშობა. ცხოვრების ღვიძლი შვილია, სწორედ ისე, როგორც კარგი საქმე, გინდ ქველ-მოქმედება. არ არის არც ერთი განათლებული ერი, რომ თავის განვითარებაში ყაჩაღობის ხანა არ გაევლოს. ყაჩაღობა ბარომეტრია, რომელიც ნათლად გვიჩვენებს ორის ერთი-მეორის მოწინააღმდეგე ძალთა შორის ბრძოლის სიმწვავეს. მოსპე ეს წინააღმდეგობა, მოსპე ეს ბრძოლა და თავის თავად მოისპობა ყაჩაღობაც და სხვა ბოროტებაც. მთავრობა სცდილობს ყაჩაღობა აღმოფხვრას, ბედნიერება დაამყაროს, თხა და მგელი ერთად აძოვოს. მისის შეხედულობით ყაჩაღი მხეცია, მგელია, მავნებელია, ის უნდა მოკვდეს, განადგურდეს. ამიტომ აძლიერებს პოლიციას, მიმართავს სასტიკს ღონისძიებას, რეპრესალიებს, მაგრამ ყაჩაღობა მაინც არ ისპობა, ისევ არსებობს, ყაჩაღები ისევ ნავარდობენ და ძილს უფრთხობენ მშვიდობიან ხალხს.

ყაჩაღობა საზოგადოების გარშემო ტრიალებს, საზოგადოების გარეშე არ არსებობს. თუ საქმის ვითარებას ცოტა ღრმად დავუკვირდებით, დავინახავთ ერთს საოცარს მოვლენას —ეს არის საზოგადოების, ხალხის თანაგრძნობა ყაჩაღის მიმართ. დიაღ, თანაგრძნობას და მერე როგორს! „არსენა“, „სიმონა“, „ზაქრო“, „კაკო“, „მიქელაშვილი“ და სხ. ხალხის სათაყვანებელ საგნად გამხდარან. ამის არ დანახვა, ამის არ გარჩევა, ამის არ შემჩნევა, ძალათი დაბრმავებაა! იშვიათია ისეთი ყაჩაღი, რომ საზოგადოება არ თანაუგრძნობდეს. რა არის ამის მიზეზი, რომ ხალხი ყაჩაღს ისე არ უყურებს, როგორც მხეცს, მგელს? რა არის ამის მიზეზი, რომ საზოგადოების ფიქრით ყაჩაღი დასაგმობი და ჩამოსახრჩობი არ არის? სჩანს, ყაჩაღის მოქმედება გულსა ფხანს ხალხს, მისი პროტესტი საზოგადოების პროტესტს უახლოვდება, ყაჩაღის მიდრეკილება საზოგადოების მიდრეკილებას ჰგავს. საზოგადოებას რაღაც აწუხებს, რაღაც სტკივა, ამ ტკივილისაგან მოსვენება არა აქვს; ის სწუხს, კვნესის და ამ მწუხარებას, კვნესას, გოდებას და ოხვრას ყაჩაღის პირით ამცნობს ქვეყანას. საზოგადოების ტანჯვის მიზეზი ყაჩაღი როდია; პირიქით, საზოგადოების ტანჯვაცა და ყაჩაღიც შედეგია თვით ცხოვრების მოუწყობლობისა, უკანონობისა: თუ შეგიძლია მოსპე ეს უკანონობა, მოაწყე ცხოვრება ისე, რომ უძლურ-ობისა ოხვრა არ ისმოდეს; მაშინ ყაჩაღობაც მოისპობოდა და ბევრი სხვა უწესოებაც... ყაჩაღის სიკვდილით ყაჩაღობა არ ისპობა. ეს რომ ასე იყოს, აქამდე ათასჯერ მოისპობოდა ყაჩაღობა, მაგრამ ეს ასე არ არის. ამის შესახებ ბ-ნი ტფილისელი С.-ПБ. Вѣдомостъ“-ში საკმაო საბუთს იძლევა: ავტორი განიხილავს ამ საქმის ისტორიას და ამტკიცებს, რომ სასტიკის ღონისძიებით არ მოისპობა ყაჩაღობაო. ყაჩაღობას მოსპობს მხოლოდ განათლება, ცხოვრების განკარგება, ადამიანურ ვითარების შექმნა.

განათლების გავრცელებასთან ერთად მთავრობა ებრძვის ამ სენს საპოლიციო ღონისძიებითაც.

რადგანაცაო, ამბობს ავტორი—საერობო სადარაჯომ თავის დანიშნულებას ვერ მიაღწია, ამის გამო მის ნაცვლად შემოღებულ იქმნა საპოლიციო დარაჯობა. მისი შტატი ამ გვარია:

6	ინსპექტორი,	თითოეულს	2,600	მ. წლიურ.
45	დარაჯის ოფიცერი	„	1,200	„ „
122	უფროსი ურიადნიკი	„	480	„ „
244	უმცროსი „	„	420	„ „
1027	უფროსი დარაჯი	„	360	„ „
4107	უმცროსი „	„	300	„ „

ყველა ინსპექტორებზე — —	15,600	მ. წლიურ.
„ ოფიცრებზე	54,000	„ „
„ ურიადნიკებზე	161,040	„ „
„ დარაჯებზე	1,601,820	» „
„ ცხენებზე	524,000	„ „
„ სხვა ხარჯები	5,000	„ „

სულ 2.361,460 მან.

ახლა ეს ხარჯები გაცილებით მეტია, ვიდრე ოთხის წლის წინედ იყო.

ამიერ-კავკასიაშიო,—ამბობს ბოლოს ავტორი—მეოთხე წელიწადია, რაც არსებობს საპოლიციო სადარაჯო და მაინც ყაჩაღობა არ ისპობა. სადარაჯოს შენახვა უჯდება ქვეყანას თითქმის 2½ მილიონი. ეს ხარჯი, რასაკვირველია, ადვილი ასატანი არ არის მცხოვრებლებისათვის, სახელმწიფო თუ სხვა გადასახადები მძიმე ტვირთად აწევს ხალხს კისერზე. ბევრად უკეთესი-კი იქნებოდა, რომ ეს ამდენი ფული სხვა-და-სხვა კულტურულს დაწესებულებას მოხმარებოდა, სხვა-და-სხვა მოთხოვნილების გასაძღოლად გადიდებულიყო. მარტო **სწავლა-განათლების გავრცელება როგორ შეუწყობდა ხელს ყაჩაღების აღმოფხვრას! და ეს მილიონები-კი დღეს მხოლოდ საპოლიციო ღონის-ძიებათა გაძლიერებას ხმარდება!**

კაი რამ არის ორ მილიონ ნახევარი მანეთი. ეს ფული რომ განათლებას მოხმარებოდა, ამ 40 წლის განმავლობაში ყაჩაღობა ძლიერ შემცირდებოდა, ხალხი წელში გაიმართებოდა და სახელმწიფოს ფინანსებიც მეტად გაღონიერდებოდა.

ნარევი და ნაკვესი

სხვათა შორის

„დღიურ სიცხადით გულ-დამშვრალმა“ მე მივეცი ჩემი თავი სიზმართ ღმერთის განკარგულებაში. ამ ფანტაზიის სამფლობელოში, საცა დრო და სივრცის ცნებანი ერთმანეთში დომხალივით არის არეული, მე ვეძიებდი სულის მშვიდობას. მაგრამ მოგეხსენებათ უბედურ კაცს ქვა აღმართშიაც მოეწევაო—სწორედ ისე მომივიდა მეცა. დავხუჭე თუ არა თვალები, მაშინვე წინ გადამეშალა ჭრელი კალეიდოსკოპი ყოვლად ცხინჯ სანახავებისა, პირებისა და ცხვირებისა: ხვლიკები, ჯოჯოები, ქალაქის ამომრჩეველები, ტურები, დათვები, მეეზოვეები, დახურული ბაზარი, პირდია „დვორიანჩიკები“, რომელნიც ჩოხაში საშინელები არიან და ვენგერკაში-კი სასაცილონი—„ცნობის ფურცლის“ მეპრესე, შიმპანზე და სხვა ამ გვარი საშინელება. სურათი სურათს მისდევდა... უცბად სიზმრის აბდა-უბდა-გადასკუპდას ძალით ეს ყველაფერი გაჰქრა ჩემ თვალების წინ, წარმოდგა შემდეგი დიადი სანახავი: რაღაცა დიდი მოედანი, რომელიც გატენილი იყო ხალხით. ეს ხალხი შეჰყურებდა რაღაც გრძელ თმიან არსებას, რომელიც იჯდა პატარა „ბუტკის“ ფანჯარაში. ის ბუდკა ქაღალდისა იყო და ქაღალდზედ კიდევ დიდ ასოებით ეწერ. „ცნობის ფურცელი“.

გრძელ თმიან არსებას სახე ნაღვლიანი ჰქონდა, მხოლოდ ულვაშები უცინოდნენ. ხალხი ლოდინით, სასოებით შეჰყურებდა მას. ერთი არა ნაკლებ უცნაური არსება იდგა და გაიძახოდა: ათას ცხრაას ორასი, ორას ცხრაას ხუთასიო... მე გაკვირვებით ვუგდებდი ამას ყურს.

ეს ხალხი—მიჩურჩულა საიდუმლო ხმამ, „ცნობის ფურცლის“ მკითხველები არიან, აი ის მებუდკე-ბატონი სიტყვაა. ის კიდევ თანამშრომელია, რომელიც სთვლის ხელის მომწერლებსო. აბა ერთი დავუგდოთ ყური—გავიფიქრე მე. დიდი ხანია, გულიანად არ გამიცინია—იქნება სიტყვამ გამამხიარულოს, დიდს ოხუნჯს ამბობენ-მეთქი.

აი სიტყვას ულვაშები მოძრაობაში მოვიდნენ... ზე აიმართნენ, წვერი ქვეით დაეშვა, ზეითი ტუჩი ქვეითას მოშორდა, გამოჩნდა ბნელი უფსკრული... დაიძრა ამ უფსკრულში ყვითელი მასსა ანუ ენა და ყანყრატოდამ ამოხდა სიტყვას სიტყვა: ფელეტონი!

მაყურებელთ შორის გაისმა აღტაცებული ჩურჩული „ბატონებო—ამბობდა სიტყვა—მე ვზივარ სარკმელთან... ვზივარ, ვზივარ, მაშ არა ვზივარ?! ეჰ, რას ამბობთ როგორ არ ვზივარ!?! ბნელა ქარი ჰქრის, ზუზუნებს წვიმს და-და-და-და! უჰუჰუჰუ! მაგრამ... მაგრამ ნუ

გმინვა, ლანძღვა და თან თოფის ხმაც.. საშინლად გახურდნენ ციხის კედლები... შიგ ხმაურობაც შესუსტდა... ალი კოშკის თავს სწვდებოდა.—ამ დროს გავარვარებულ კოშკის თავზე გამოჩნდა თმა-გაწეწილი და საშინლად ატკრეცილ-ძუძუებ გადმოყრილი დედაკაცი და გადმოისროლა შვიდის წლის თავისი შვილი. ციხისკენ გაქცეულმა ჯარის კაცებმა ხელში დაიჭირეს ბალღი და მიართვეს უფროსს. ეტყობოდა, დედა შეეწუხებინა შვილის ტანჯვას და მტრებს გადმოუგდო.

მალე შემატვრიეს ციხის კარიც, სადაც შეჯგუფილიყვნენ დახოცილნიც და ცოცხალნიც...

იმ ღამეს კარავში მეც უფროსთან ვიყავ. იგი იყო გულკეთილი კახელი თავადთაგანი. პატარა ტყვე მან დაისაკუთრა. საცოდავი მობღუშულიყო და შეექცეოდა ტკბილეულობას, რომელსაც აძლევდნენ თავ-მოყრილი აფიცრები. თან მგლურად შეუბღვრიალებდა ხოლმე ცეცხლის მფქვევ შავ-თვალებს, როცა საალერსოდ ვინმე ხელს წაატანდა...

III

ყოველივე ეს 1877 წელს იყო, ოდეს რუსი ოსმალს ებრძოდა და ოსმალეთიდან მოსულმა ფანატიკოსმა მქადაგებლებმა საწყალი ლეკები გააბრიყვეს... ბევრი ლეკი გადაასახლეს მაშინ ციმბირში თავის ოჯახებით...

ბევრი კოკა გატყდა მას აქეთ წყალზედ... ბევრი თავი გამოხრა მას შემდეგ შავმა მიწამ... ლეკის ბიჭი იზრდებოდა იმავ თავადის ოჯახში. თავადმა სამსახურს თავი დაანება, კახეთში თავის მამულს მიეპატრონა. ამის შემდეგ მეც არა ერთხელ ვწვევივარ ამ სტუმრის მოყვარე თავადს და მინახავს მისი ერთგული ტყვე-ლეკი, რომელიც ეხლა შევაჟკაცებულ-შედგრებულიყო.

ბოლო ხანში თავადი გაღარიბდა და აქციზის უწყებაში დაიწყო სამსახური. ლეკი-ბიჭი კოხტად გამოწყობილი, ცხენით თან ახლდა ხოლმე ბატონს, როცა ეს სამსახურის გამო სოფლებში დამგზავრობდა, ბატონი მადლიერი იყო ახალგაზდა ლეკისა და უქებდა ცხენების მოვლას.

— დინჯად გარეკე, ძამიავ, დინჯად, რუსის კალასკა! დავტკბეთ ამ დიდებულ და თვალ-წარმტაც ბუნების სიმშვენიერით—ვეუბნებოდი მე ფოსტის „ტროიკა“ში“ მჯდარი ჩემს მეეტლე ქიზიყელს.

ამანაც ფეხები აათრევინა ისეც ჯაგლაგ ცხენს და ორივენი ვტკბებოდით ზეცას აყუდებულ და უშველებელს მანძილზედ გველეშაპივით გაწოლილ ლეკის მთებით და ძირს კიდევ გაშლილ ალაზნის ვაკით, მის ტყეებით, ბაღებით და მინდვრებით... ჩვენ მივდიოდით ნუკრიან—სიღნაღისაკენ ჭოტორსა და მაღაროს შუა გაჭიმულ გზა-ტკეცილით..: დიდებული სურათი თანდათან ფართოვდებოდა, რადგან ციცაბოზედ კოხტად დაშენებულ ქიზიყ-სიღნაღსაც გადავხედეთ... ამ დროს სიღნაღიდგან მომავალი ცხენოსანი წინ გადაგვეღობა, ეს იყო ჩვენი ნაცნობი თავადი თავის ლეკით. ერთმანეთს მივესალმენით და გავაბით ლაპარაკი.

უცებ ორთავეს შემოგვესმა რაღაც გულსაზარი გმინვა. მოვიხედეთ და დავინახეთ, რომ ჩვენს უკან შემომდგარიყვნენ რაღაც ურმები, რომლებზედაც ბარგთან ერთად ისხდნენ დედაკაცები ბალღებით; გარს ხიშტებით სალდათები ედგნენ. ურმებიდგან საზარელი ხმა მოისმოდა. ზმუოდნენ დედაკაცნი, რომელნიც, რაკი ურმები შესდგა, ძირს გადმოხტნენ, და დედა-მიწაზედ გაერთხნენ... ჰკოცნიდნენ დედა-მიწას!.. ლოკავდნენ!.. თან, როცა მაღლა აიხედავდნენ, კავკასიონის თოვლიან კენწეროებისკენ იწვდენდნენ ხელებს. მერე გულზედ იდებდნენ, თითქოს ის ცივი მთები გულში უნდა ჩაიკრანო... ამასთან გულ-გასაგმირად ზმუოდნენ... მთებს კოცნას უგზავნიდნენ... დედაკაცების მაგალითს კაცებიც მიჰყოლოდნენ და ისინიც მუხლ მოდრეკილნი მიწას ჰკოცნიდნენ, სამშობლო მთების დანახვაზედ ჰკვნესოდნენ, სტიროდნენ...

— Что это, братцы?!—შეეკითხა ხიშტიან სალდათებს თავადი.

— Изъ сибири Легзины, Ваше сіятельство! Вотъ, увидя родныя горы, орутъ съ радости, несчастные!.. უპასუხეს იმათ.

მივიხედეთ, აღარც ჩვენი ჭაბუკი ლეკი იყო ჩვენთან... იმას გულში ჩაეხუტნა ერთი მოხუცებული, წელში მოკუზული ლეკის დედაკაცი, ორივენი ერთმანეთს გატაცებით ჰკოცნიდნენ, სტიროდნენ, ყელი-ყელს გადაჭდობილნი ზმუოდნენ!.. თურმე თავისი კოშკიდან გადმომგდები დედა ეპოვნა, ახლა ციმბირიდგან ისევ სახლში იმავალი... მალე ამ ორს შემოეხვივნენ ყველანი და გაისმა გრძნობათა გამომხატველი აღმოძახილი ხმები, რომელნიც გულში გვწვდებოდა ჩვენცა და რუს—სალდათებსაც-კი.

— დავკარგე ერთგული მოსამსახურე!—ამბობდა თავადი და თან გულმტკივნეულად იძახოდა:—რა ვუყოთ, იპოვა მშობელი და სამშობლოს უბრუნდება...

ხ. გულისაშვილი.

გეშინიან, ჩემო მსმენელო, რადგან სიბნელე, ქარი და წვიმა ანუ წყალი ეს ის სამი სტიქიონია, რომლისგანაც შემდგარია „ყოვლად მთმენი, ვით ჯორ ცხენი: არ ოხუნჯი, ტერტერთ უნჯი კეთილ-შობლიური გვამი „ცნობის ფურცლისა“ ნუ გეშინანთ! მე ხათრს შეგინახავთ და ცრემლით არ წავრღვნი დედა მიწას! არ დავახშობ ზარდაცემულთა მსმენელთ ყურებს—არა! არა, იმიტომ რომ ქვეყანა მაინცა და მაინც ბრუნავს! მაინც ბრუნავს, ბრუნავს! ვა, ნუ-თუ ვისმე გონია, რომ ქვეყანა არ ბრუნავს?! [1]).

ეჰ! ჩემო მკითხველო? ნაღველი რომელიც ჩემი გულის სიღრმეში იმალება, გესლიანი გველივით მღრღნის... მაგრამ ფელეტონში ხომ სიცილია საჭირო, მაშ თავი დავანებოთ ნაღველს და გავმხიარულდეთ, დავიწყოთ „დაბრაკულ“ საქმეებიდან. „დაბრაკული“— ხა-ხა-ხა! როგორი სიტყვაა! არ იცინით? არ იცინით? მე-კი ძალიან მეცინება! დიახ, „დაბრაკული“ ხა-ხა-ხა! დაბრა... უჰ, ხა-ხა-ხ! არ შემიძლიან, მოვკვდი სიცილით... ოჰ, ღმერთო ჩემო!.. ჰო, იმას მოგახსენებთ, რომ მე წილად მხვდა იმისთანა საქმეებზე წერა, რომელთაც ჰქვია დაბრ... ფხი-ხი-ხი! რა ვქნა, რატომ არ იცინით? არ მოგეწონათ ჩემი სიტყვები? ნუ-თუ თქვენ ვერ გაგიგიათ ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ მე „ზაკაზით“ ვწერ, რომ მე ამისთვის ფულს მაძლევენ, ფულს მაძლევენ[2])! მაძლევენ იმისთვისა, რომ ან გაგაცინოთ, ან გატიროთ. მეუბნებიან, „ივერია“ გალანძღეო, სომხები აქეო. მეც ვილანძღები, თუმცა ლანძღვა საზოგადოთ არ მიყვარს, ვაქებ იმათ, ვინც ქირივით მეჯავრება. რას იქ? განა ყველაფერი ფულზედ არ ტრიალებს?! შემიბრალეთ და აი ეხლა ტფილისის ხმოსნებზე და ქუთათურებზე წავალ იერიშით და აქ მაინც გაიცინეთ! გაიცანეთ, თორემ მოგვარდებით, გიღიტინებთ და მაშინ ხომ იკადრებთ გაცინებას“...

არავინ იცინოდა. არავინ სტიროდა... ყველას ეძინა... მე შემებრალა ბ-ნი სიტყვა, მასთანვე შემეშინდა თავისი მუქარა არ აასრულოს, რადგან უიმისოდაც ნერვებ-აშლილი კაცი გახლავართ და ღიტინისა ძალიან მეშინიან—სიცილი დავაპირე, პირიც-კი გავაღე, მაგრამ... სიცილის მაგივრად დავამთქნარე. კარგია, რომ სიზმრის ღმერთის ბრძანებით წყვდიადმა შთანთქა ბ-ნი სტყვა იმის სიტყვებთან ერთად, თორემ ჩემი საქმე „ქანტრაკულად“ იქნებოდა, როგორც ამბობს ბატონი გუნია „ძალა აღმართს ხნავს“-ში. ყველაფერი აირივ-დაირია აი სწორედ ისე, როგორც სინემატოგრაფზე, როცა სურათი იცვლება დ წუთის შემდეგ ვნახოთ იმ „ბუდკიდამ“, საცა ბატონი სიტყვა ოხუნჯობდა, გამოძვრა ორი პაწაწკინა შავი ვარსკვლავი... მარტო ორი შავი ვარსკვლავი, სხვა არაფერი განცვიფრებით შევყურებდი ამ მეტაფიზიკურ მოვლენას. ნეტავი ეს რაღას უნდა ნიშნავდეს-მეთქი, ვფიქრობდი მე. ჩემი განცვიფრება გაორკეცდა, როდესაც იმ ორ ვარსკვლავიდგან ნელ-ნელა ამოცურდა რაღაც წერტილი. ეს წერტილი თან-და-თან იზრდებოდა, იბერებოდა, აი ისე, როგორც საპნის ბუშტი და რამდენიმე წამის შემდეგ უშველებელ თავად გარდაიქცა. ის თავი, რომელსაც რუსლანი შეხვდა ველზე ამ თავთან შედარებით მიკროსკოპიული იყო.

ორ-საჟენიან შუბლზედ წითელ ასოებით ეწერა: „ერუდიცია და გამოცდილება“ და ცოტა ქვევით: „ნახული, გაგონილი, ნაგრძობი, ნაღრძობი, წაკითხული, ხანაც გადაკითხული“. თავმა ჯერ (ჩერნომორის ძმის თავსავით) ჯერ „დააცხიკვა“, რისგანაც მიწა შემახისებურათ იძვრა, მერე დააღო პირი და გაზაფხულის ქუხილის მზგავს ხმით დაიწყო: „მე უნდა მოგელაპარაკოთ პიროვნების პატივისცემაზე [3]). ვის გაუგონია ჩვენში პიროვნების პატივისცემა, ჰა? მე ყოფილი მასწავლებელი ვარ. როდესაც რაიმე კითხვას მოგცემთ, ვიდრე პასუხს იტყოდეთ, გთხოვთ თითი აიშვიროთ მაღლა. დიაღ, მე გკითხავთ. ვის გაუგონია მეთქი ჩვენში პიროვნების პატივის ცემა?“ ხალხი სდუმდა, იდგა უძრავად... „თქვენ არ გაგიგონიათ და არც მე გამიგონია. „დამცირება, ტალახში მოსვრა, მიწასთან გასწორება კი რამდენიც გნებავთ! აბა ვინ იცის, ამ უკანასკნელ ცოდვებში ვინ არის უფრო დახელოვნებული?“ მრავალი თითი, გამხმარ ჩურჩხელებსავით აიმართა ზევით „რადგან ბევრნი ხართ, თქვით ყველამ ერთად, ხოროთი!

— „ცნობის ფურცელი“! დაიგრიალა ხალხმა.

„ტყუილია!—შეჰყვირა ხალხს თავმა—მიქარვაა! „ცნობის ფურცელი“ კი არა „ივერია“ და „კვალია“!

— დიაღ, დიაღ, „ივერია“ და „კვალი“!—გაისმა აქეთ-იქიდამ ხმა.

„თქვენც კარგათ იცით—განაგრძო თავისი სიტყვა თავმა—რომ ზოგიერთი ნივთი უფრო კარგათ იწმინდება, სპეტაკდება იმის შემდეგ, როცა ტალახში ამოავლებთ იმას და მერე გახეხავთ, აი სწორედ ამისთვის სვრის ტალახით ყველას „ცნობის ფურცელი“. ეხლა მეგობრობაზე გადავიდეთ. მეგობრობა ერთი უკეთილშობილესი გრძნობათაგანია, რომლითაც ზეცამ დააჯილდოვა ადამიანი. მეგობრობა ხშირად სიუჟეტად ხდება შესანიშნავ თხზულებათა. კაცისთვის მეგობარი აგრეთვე საჭირო, როგორც ალკოგოლი ლოთისათვის. ძალიან კარგი გრძნობაა. აბა, ერთი მითხარით, ვინ ისახელა თავი წმიდა მეგობრის ღალატით?“.

„ცნობის ფურცელმა“. იგრიალა ხალხმა.

— სისულელეა! თქვენ თუთიყუშივით სხვის სიტყვებს იმეორებთ—იძახდა განრისხებული თავი—გთხოვთ, ბოდიში მოიხადოთ „ფურცლელებთან“!

— უკაცრავად, უკაცრავად. გაისმა ზოგიერთების შეშინებული ხმა.

— მიპატივებია, სთქვა დაწყნარებით თავმა. მართალია ფურცლელებმა თავის მეგობრებს შეაფურთხეს პირში, ჭორიკანობით, ენატანიობით, ქვეშ-ქვეშობით თავის წრიდამ განდევნეს, მასხრათაც აიგდეს, მაგრამ ნუ გავიწყდებათ, რომ პოლიტიკაში ყველა საშუალება ცუდიც და კარგიც ერთის ღირსებისაა! ინგლისის ორი გამოჩენილი კაცი მტრობენ ერთმანეთს პოლიტიკაში და კერძო ცხოვრებაში-კი მეგობრები ყოფილან თურმე.

ჩვენ, ვთქვათ, შევაფურთხეთ პირში კამათის და პარტიების ბრძოლის დროს... რა უშავს? ცხვირსახოცი ანუ ხელსახოცი განა მარტო ცხვირისთვის არის მოგონილი? აიღეთ, მოიწმინდეთ ნაფურთხი, მოდით და გადაგვეხვიეთ ძმურად, ქრისტიანულადაც გამოვა! მარცხენა ყბაში რომ მოგხვდეს, ახლა მარჯვენა გამოიშვირე, вотъ и все!

დაბრუნდით ძველო მეგობარნო, დაბრუნდით! ჩვენ მოწყენილნი ვართ უთქვენოთ და უთქვენოთ საქმე ცუდათ მიდის. ჩვენ გაგვიცრუვდა იმედი მაშინ... სადა ხართ სანდრო, კიტა, გიგო, ვანო-ოო. უცბად დაიწყო თავმა მოთქმით ტირილი და მტკვრისოდენი ცრემლთა ღვარი გადმოსცვივდა საშინელ თვალებიდამ. ხალხს გული ამოუჯდა, „ნამეტანი“ მღელვარებისაგან მოიკეცა მან მოედანზედ, ნაცარი დაიყარა თავზედ და ბაბილონის ებრაელისებური გოდება მორთო. სადა ხართ სანდრო, ვანო, გიგო, კიტა-აა! დაიწყებდა თავი და ხალხი ტიროდა, ტიროდა... მეც მომაწვა ყელში სევდა, ერთხელ, თუ ორჯერ ჩემს გულიდამაც ამოხდა ქვითინი... მერე ხელსახოცი მივიტანე თვალებთან, რათა შემეყენებინა ცრემლთა დენა... ხელსახოცი თვალებს რომ მოვაშორე, მივიხედ-მოვიხედე და სახტად დავრჩი, რაღაც არსება პილტოსა მხდიდა მე და შევდიოდი სასოფლო სამეურნეო საზოგადოების დარბაზში.

ეშმაკური.

(შემდეგი იქნება)

---

[1]) იხილე „ცნობის ფურცელი“ 3 ნოემბრის 1902 წ. ფელეტონი.

[2]) „ცნობის ფურცელი“ 3 ნოემბრის იხ. ფელეტონი.

[3]) ცნობის „ფურცელი“ 1 ნოემბერი. „ნახული და სხ.

„ივერიის“ ფოსტა:

რიხა. ე. ლ—ძეს „სოფლის მოხელეების ამბები“ არ იბეჭდება.

ქ. ქუთაისს. ივ. ზ.—ლს თქვენი ლექსები არ დაიბეჭდება.

ხონი. Anima-ს თქვენი წერილი არ იბეჭდება.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

14 ნოემბერი

ნიუ-იორკი. ძლიერად აღმოხეთქა სუფრიერის ვულკანმა.

კილი. „Kielez Zeitunq“-ის სიტყვით, საიმპერიო საზღვაო უწყებამ ბრძანება გასცა სამხარ ფეხზე დააყენონ სამი გემი ვენეცუელას წასასვლელად.

ბერლინი. რეიხსტაგში დასების უმეტესობამ წინადადება შეიტანა მხარი დაუჭირონ სატარიფო პროექტს იმ პირობით, რომ 25 პროცენტით შემცირებულ იქმნეს ზოგიერთი სამრეწველო ბაჟი.

ქაირი. სავაჭრო ხელ-შეკრულობა დაიდო საფრანგეთსა და ეგვიპტეს შორის 21-ის წლით.

ცეტინიე. შჩეკლოვის მიერ რწმუნების ქაღალდების გადაცემის გამო, მთავარმა აღნიშნა განუწყვეტელი კავშირი, რომელიც აერთებს ჩერნოგორიას რუსეთთან.

ბანგკოკი. სიამს შემოიღეს ოქროს ფული; ვერცხლის ფულის თავისუფლად საჭრელი ზარაფხანები დახურა.

ლონდონი. მიჯნაზე მდგომი ლაშქარი ოსმალებისა აღენს იქით გაიწვიეს. იემენში მათ მაგიერ ჩადგნენ შეიარაღებული არაბები, რომლებიც იმუქრებიან, უცხოელებს თოფს დავუშენთო.

15 ნოემბერი.

პეტერბურგი. იაპონიის ელჩი იზვოლსკი დაინიშნა დანიის ელჩად.

პარიჟი. სენატის საბაჟეშენო ჯგუფი ეწინააღმდეგება საფრანგეთის სიამსთან შეთანხმებას.—პალატის მიერ არჩეულ კომისიებში წევრებად მთავრობის მომხრენი მოჰყვნენ.

„Temps“ უსაყვედურებს პელტანს, რომელმაც სხვა მინისტრთა დაუკითხავად საბიუჯეტო კომისიას გარდასცა გენერალის ვუარონის ცნობები ჩინეთის ექსპედიციის შესახებ.

ბერლინი. »გერმანიამ გამოაქვეყნა მუხლები, რაზედაც მთავრობა და რეიხსტაგის უმრავლესობა შეთანხმდნენ: მინიმალური გარდასახადი ლუდის სახდელ შერიაზედ უნდა აიწიოს 4 მარკამდე, ხორცსა და პირუტყვზედ მინიმალური გარდასახადი უნდა მოისპოს; ზოგიერთი სამრეწველო გარდასახადები უნდა შემცირდეს. სატარიფო კანონ-პროექტის მეორედ კითხვის დროს მიღებულ იქმნა ცენტრის წინადადებანი, რომელიც თხოულობდა რომ სურსათზე ზედ-მეტი გარდასახადი ქვრივთა და ობოლთა დაზღვევას უნდა მოხმარდესო. უნდა გაუქმდეს აგრეთვე ქალაქის გარდასახადები. მთავრობამ თანხმობის სურვილი განაცხადა.

ესენი. კრუპის ქვრივმა მუშათა კასებს 3,000,000 მარკა შესწირა.

ბერლინი. კარდორფი თხოულობს, რომ სამეურნეო იარაღებსა და მანქანებზედ გარდასახადი 25% შემცირდესო.

პეტერბურგის ბირჟა, 1 ნოემბერს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,85
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,70
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	—
ბირჟის დისკონტი	5—6 1/2%
4% სახელმწიფო რენტა	97 1/8 გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99 5/8 წვრ გაყ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. სათავ. მამულთ ბანკისა	94 1/2 მყიდ.
5% 1-ლი შინგ. სესხის მოგებ. ბილ. 1864 წ.	482 1/2 გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მოგებ. ბილ. 1866 წ.	373 3/4 წვ. გაყ.
5% გირავნ. მოგ. ფურც. სახელმ. სათვ.-მამ. ბანკისა	298 წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	88 1/2 გაყ.
4 1/2% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. სადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	89 7/8 გაყ.
4 1/2% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. სადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,, „ „ „	490 გაყ.
,, კასპიის ამხანაგობისა	4450 წვრ. გაყ.
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	413 გაყიდ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	194 წვ. გაყ.

სასამართლოს შესახები ცნობანი

სამოსამართლო პალატაში დანიშნული საქმეები 30 ნოემბერს:

1. თედორე ქილაგანისა და იორდანე სურმავას საქმე.
2. ეფემია ჩიქოვანისა და არტემ სიმონიანცის დავა.
3. ეპიფანე ცაგარლისა და ერასტე კაწარავას დავა.
4. როსებ, ლუარსაბ, გიორგი და დათა ფარცხვერაშვილის და ბიჭია და ნესტორ საცერიძეს დავა.
5. ალექ. და სენო მხეიძისა და ვასილ კიკნაძის დავა.
6. მიხ. დრეკელოვისა და მარკინის დავა.
7. პავლე ბოყაძისა და გედევან ბახტაძის დავა.
8. ლუკა ბახისა და უტო ბახია სადავო საქმე.
9. სლუჩევსკისა და ოლღა მელიალქოვის დავა.
10. დედულა ხურცინოვისა და ზალიკო და ხოხა კუხანოშვილის დავა.
11. თავ. მიხეილ ლორთქიფანიძისა და თავ. ასლან ლორთქიფანიძის დავა.
12. ნიკოლ. წყობილაძისა და გიორგი და ილარიონ ფურცხვანიძეთა დავა.
13. გ. გძელიშვილისა და მიხ. ბაქრაძის დავა.
14. ეკ. ტატუნაშვილისა და გაბოსი, ლექსოსი და ფარსო კონდარაშვილების დავა.

განცხადება

ტფილისის ქალაქის გამგეობისაგან

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით იუწყება საყოველთაოდ, რომ ამა წლის 19 ნოემბერს, ნაშუადღევის 1 საათზედ გამგეობის სადგომში დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

იჯარით გაიცემა ექვსის წლის ვადით ქალაქის მამული, რომელიც არის პირველ საპოლიციო უბანში სატივოზედ. პირობის შეტყობა შეიძლება ქალაქის გამგეობის მე-4 განყოფილების კანცელარიაში ყოველ დღეს დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე კვირა-უქმეებს გარდა.

(2—6—2).

ქუთაისში

ს. მ. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

„შეფა“

აუწყებს ბ-ნთ ამხანაგთ, რომ მათ მიერ 3%-იან შესატანის ვადა, ესე იგი 3 მ. თითო პაიზე, დანიშნულია 16-დან 23 ნოემბრამდე და ჯარიმით შესატანის ვადა 24 ნოემბრიდგან 3 დეკემბრამდე. ფული უნდა წარმოადგინონ გამგეობის კანტორაში, დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე და საღამოს 6-8 საათამდე.

პაის პატრონთ ფულის შემოტანის დროს უნდა წარმოადგინონ პაის კვიტანციებიც.

(3—455—2)

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
Краткій историческій очеркъ врачебнаго дѣла въ Грузіи, И. Алхазова	„	30
Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи IV т. Н. Марра	3	„
Бальваръ и Іодасафъ, А. Хаханова	„	60
О грузинскомъ и русскомъ алфавитахъ съ педагогической точки зрѣнія Я. Гогебашвили	„	20
Георгій XII, послѣдній царь Грузіи, Н. Дубровина	1	
Неестественность „естественнаго“ метода въ дѣлѣ обученія языкамъ Л. Боцвадзе	„	10
Очерки по исторіи грузинской словесности, А. Хаханова в. Ш.	3	„
Замѣтки о городскомъ самоуправленіи на кавказѣ Г. Туманова	„	60

ბალანსი ტფილისის სამეურნეო ბანკისა

1 ნოემბრისათვის 1902 წლისა.

აქტივი.

		მან.	კაპ.
I. კასა (სახელმწიფო საკრედიტო ბილეთები)		19709	26
II. მიმდინარე ანგარიშები: კერძო საკრ. დაწესებ.		300	—
III. პირობა-დადებული მიმდინარე ანგარიში სახელმწ. ბანკის ტფილისის განყოფ.		1000	—
V. სარგებლიანი ქაღალ. საზოგადოების საკუთვნონი:			
ა) უზრუნველ-ყოფილნი:	1594—26		
ბ) არა-უზრუნველ-ყოფილნი:	7927—	9521	26
V. სარგებლიანი ქაღალდები, სათადარიგო თანხის საკუთვნონი		7283	19
VI. განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცზე არა ნაკლებს უწერია ხელი		285675	88
VII. სოლო-ვექსილით გაცემული სესხი, უზრუნველ-ყოფილი სოფლის უძრავის მამულით		492	50
VIII. პროტესტ-ნაქნარი თამასუქებისათვ. გაგზავნილი		3544	86
IX. განაღდება ვადიან ქაღალდებისა, კუპონებისა და სხ.		2848	91
X. გირაოთი გაცემული სესხი:			
ა) სახელმწიფოს და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ ფას. ქაღალ.	12947—		
ბ) არა-უზრუნველ-ყოფილ ქაღალ.	19276—		
გ) საქონელზედ	27105—		
დ) სასოფლო-სამეურნეო ნაწარმ.	3349—	62677	—
XI. დასაბრუნებელი ხარჯი		148	35
XII. მოწყობა და მომართვა		2373	24
XIII. კორესპონდენტები:			
ა) იმათის ანგარიშით (loro)	102402—91		
ბ) ჩვენის ანგარიშით (nostro)	18995—61	121398	52
XIV. გერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღალდი		133	97
XV. სხვა-და-სხვა დებიტორები		692	19
XVI. მიმდინარე ხარჯები.		13547	57
ბალანსი		531346	70

პასივი.

		მან.	კაპ.
I. თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 809 წევრისაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრ ფულის 10%-გან		87521	-
II. სათადარიგო თანხა		7354	46
III. %% სათადარიგო თანხის სარგებლიან ქაღ.		183	45
IV. შემოტანილი ფული:			
ა) მიმდინარე ანგარიშით	107642—65		
ბ) ვადით	130402—		
გ) უვადოდ	1500—	239544	65
V. გარდასაცემი თანხა.		3834	97
VI. გარდასახდელი სარგებელი		622	30
VII. სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა		34	37
VIII. წევრთა მიერ შემოტანილი და უკან არ მოთხოვნილი საზოგად. წესდ. მე-12 და-13 §§-ის თანახმად		868	—
IX. ფული, მიღებული სხ.-და-სხვაგან გასაგზ. დეპეშით		720	—
X. კორესპონდენტები:			
ა) იმათის ანგარიშით (loro)	49887—70		
ბ) ჩვენის ანგარიშით (nostro)	54630—32	104518	02
XI. საგანგებო მიმდინარე ანგარიში სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფ.		10000	—
XII. გადანაღდება თამასუქებისა სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში	15850		
სხვა ბანკებში	34800	50650	—
XIII. წაუღებელი დივიდენდი წარსულ წლებისა		2434	25
XIV. წაუღებელი დივიდენდი 1901 წლისა.		1879	08
XV. მიღებული სარგებელი		20952	05
XVI. მოგება და ზარალი 1902 წლისა		230	10
ბალანსი.		531346	70
პასუხის-მგებლობა 809 წევრისა 10%-იან შემოსატან გარდ.		787689	—
საზოგადოებას აქვს გარდაცემული შესანახად ქონება		9000	—
თამასუქები საკომისიოდ.		4900	54

Дозволено цензурою. Тифлисъ, 15 ноября 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе.) Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი სარაჯიშვილი.